N 2-01 12.01.2024

სახელმწიფო რწმუნებულს ბატონ ბესიკ ამირანაშვილს

აპარატის მესამე კატეგორიის
უფროსი სპეციალისტის
ელგუჯა გოგოლაძის

მ ო ხ ს ე ნ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

ბატონო ბესიკ,

მოგახსენებთ რომ, 2023 წლის 12 და 27 დეკემბერს სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის სატენდერო კომისიის მიერ გამოცხადებული იქნა ორი ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე:

1. „მანქანების რეცხვა და მსგავსი მომსახურებები“ - **NAT230025892,** გამოქვეყნების საფასური შეადგენს 50 ლარს;
2. „სატრანსპორტო საშუალებებისა და მათთან დაკავშირებული მოწყობილობების შეკეთება, ტექნიკური მომსახურება და მასთან დაკავშირებული მომსახურებები“ (პრეისკურანტით) – **NAT230027133**, გამოქვეყნების საფასურის ოდენობა 50 ლარი;

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 23 ივნისის №15 ბრძანების პირველი მუხლის მე-3 და მე-6 პუნქტების თანახმად, ჩვენი ორგანიზაცია ვალდებულია გადაიხადოს სისტემის მეშვეობით სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის გამოქვეყნების საფასური 100 ლარი.

გთხოვთ თქვენს თანხმობას.

პატივისცემით,

ელგუჯა გოგოლაძე

მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი
სახელმწიფო რწმუნებულის აპარატი